საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა).

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სამშაბათი, 8 ივნისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა დროებით მოთავსებულია დიდი ვანქის ქუჩაზე № 3.

ფასი 5 მან.

№ 5 უმაღლესი ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც ჩელუსხოვის სამკითხველოა.

ბიურო დიაა სადამბიო 5—7 ნახ. საათამდე.

თბილისში მცხოვრები პარტიის ყველა წევრები გ ლდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში ჩაეწერონ რაიონებში. პროვინციებიდან ჩამოსულ პარტიის წევრებს წინადადება ეძლევათ ჩაეწერონ თბილისის კომიტეტში.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის შეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დღის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

ამხანაგების საყურადღებოთ!

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსოვეტის სადგომში. მიღება ყოველ დღე დღის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 ,ათამდე.

მესამე რაიონის ს. კ. პ. იუნრო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დღის 10 ნახ. საათადან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება ამ ხელშეკრულების სრული ტექსტი. ზოგადი პოლიტიკური დაფასება ამ ისტორიული აქტისა ჩვენ უკვე გავაკეთეთ „კომუნისტის“ პირველ ნომერშივე. ახლა, როცა ჩვენი მკითხველები უფრო ახლო გაეცნობიან თვით დოკუმენტებს, ამ ხელშეკრულების აზრი და მნიშვნელობა საქართველოს მშრომელი მასისთვის, რა თქმა უნდა, უფრო ნათელი გახდება.

თავისთავათ იგულისხმება, რომ ჩვენთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს ამ აქტის პოლიტიკურ და არაიურიდიულ მხარეს. ამიტომ ჩვენ არ შევუდგებით აქ ამ საზავო ხელშეკრულების თითოეული მუხლის და პუნქტის ცალ-ცალკე განხილვას; ამ დიდი მნიშვნელობა არ აქვთ. მთავარი და უდიდესი მნიშვნელობა ხელშეკრულებისა პოლიტიკური მხარეა. ზოგიერთებისთვის ამ აქტის უდიდესი მნიშვნელობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და თავისი ნებით ხელი აიღო მის სუვერენულ უფლებებზე. ისინი, ვინც მხოლოდ ასე აფასებენ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებას, პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას სავსებით მოკლებული არიან ან კიდევ განზრახ იბრმავებენ თვალებს. არავინ არ უარყოფს ამ დამოუკიდებლობის ცნობის მნიშვნელობას. მაგრამ ამ შემთხვევაში ივიწყებენ, თუ ვისგან ხდება საქართველო ამ ხელშეკრულების ძალით დამოუკიდებელი.

1917 წლის დასასრულს, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როცა საქართველო, მთელ ამიერ-კავკასიასთან ერთად, მოსწყდა საბჭოთა რუსეთს, როგორც საქართველოს, ისე ამიერ-კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკების მმართველი წრეები დღემდის იმის ძიებაში იყვენ, რომ სადმე, რომელსამე გარეშე ძალაში აღმოეჩინათ თავისთვის მკვიდრი ნავთსაყუდარი. ასეთ ნავთსაყუდარს ეძებდენ ისინი, რა თქმა უნდა, გარეშე საბჭოთა რუსეთისა. ეს უკანასკნელი იმათთვის ყოვლად მიუღებელი იყო. სანამ გერმანიის კოალიცია იყო გამარჯვებული, მანამ ისინი ასეთ ძალას გერმანიის იმპერიალიზმში ხედავდენ. როცა გერმანია დამარცხდა, ისინი ანტანტის სახელმწიფოებს ჩაუვარდენ კალთაში. იმათი ლოზუნგი იყო: რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, შორს ანარქისტული, ბალშევიკური რუსეთიდან, რომელიც ველურობის, ბარბარობის და საშინელების ქვეყანაა, რომელიც ანგრევს კულტურას, განათლებას, ცივილიზაციასო! სამაგიეროთ იწევდენ ევროპისაკენ, მოუწოდებდენ დასახმარებლათ ანტანტის იმპერიალისტებს, იმათ თხოვდენ შველას, დამოუკიდებლობის ცნობას და ამას ჩადიოდენ ვითომც კულტურის, განათლების და ცივილიზაციის სახელით, თითქო საკმარისი ყოფილიყო ამის სურვილი, რომ ევროპის მთელი კულტურა აქ ერთბაშათ გადმოტანილიყო. იმდენათ დიდი და წარმტაცი იყო ეს გატაცება დასავლეთი ევროპით, რომ ბ. აკ. ჩხენკელმა ისიც კი განაცხადა, რომ საქართველო არათუ კულტურულათ, არამედ გეოგრაფიულათაც უნდა დაუახლოვოთ ევროპასო. რა თქმა უნდა, ყველა კარგათ გრძნობდა, რომ რუსეთიდან გამოთიშვაში და ევროპასთან დაახლოვებაში არც კულტურა და არც უკულტურობა, არც ცივილიზაცია და არც ბარბაროსობა სრულებით არაფერ შუაში იყო. თუ ოქტომბრის რევოლიუციამდე ქართველი სოციალ - დემოკრატი—მენშევიკები რუსეთის კულტურას უარს არ ყოფდენ, როგორ შეიძლებოდა, რომ ეს კულტურა ერთ თვალის დახამხამებაში სადღაც გამქრალიყო ისე, რომ იმის ადგილი ბარბაროსობას და ველურობას დაეჭირა. არა, საქმე სულ სხვანაირათ იყო: რუსეთში საბჭოთა, ე. ი. მუშების და გლეხების მთავრობა დაწესდა, და აი სწორედ ამ უკანასკნელიდან იმიჯნებოდენ გადაჭრით ამიერ-კავკასიის მმართველი წრეები და პარტიები.

რა თქმა უნდა, იმპერიალისტები, როგორც გერმანიის კოალიციის, ისე ანტანტის, სიამოვნებით სარგებლობდენ მენშევიკების და სხვა მმართველ პარტიების ასეთი მოპატიჟებით და ამიერ-კავკასიას თავის ბრჭყალები მოსდვეს, ის დაიჭირეს თავის შეიარაღებული ძალებით და მიყვეს ხელი მისი სიმდიდრის გამოწოვას, რამდენათაც გარემოება ხელს აძლევდათ. მაგრამ ყველა ამათ საუბედუროთ, საბჭოთა რუსეთმა სძლია თავის შინაურ და გარეშე მტრებს და იმავე დროს თვით ანტანტის სახელმწიფოებშიაც პროლეტარიატის ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო. საფრანგეთი, ინგლისი და იტალია იძულებული შეიქნენ თავისი ჯარები ამიერ-კავკასიიდან გაეყვანათ და ადგილობრივი რესპუბლიკები თავის საკუთარი ძალების ამარა დაეტოვებინათ. ამავე დროს გამარჯვებული საბჭოთა რუსეთი ამიერ-კავკასიას კარზე მოადგა. როგორც საქართველომ, ისე აზერბაიჯანმა და სომხეთმა აშკარათ დაინახეს, რომ საბჭოთა რუსეთის გავლენას ისინი ველარ ასცდებოდენ და ამიტომ საიდუმლოთ შეუდგენ მასთან მოლაპარაკებით საქმის მოგვარებას.

თუ თქვენ კარგათ ჩაუკვირდებით ხელშეკრულების მეხუთე მუხლს, თქვენ აშკარათ დაინახავთ, თუ რა კოლოსსალური ცვლილება მომხდარა დღეს. ამ მუხლის ძალით საქართველოს მთავრობას ევალება გასწმინდოს თავის ტერიტორია ყველა იმ ელემენტებისაგან, ორგანიზაციებისაგან და ჯგუფებისაგან, რომლებიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ რაიმე მოქმედებას იჩენენ, განიარაღონ და გააძევონ ისინი საქართველოს ტერიტორიიდან ან პირდაპირ საბჭოთა რუსეთს გადასცენ, მასვე გადასცენ ის ყოველგვარი სამხედრო მასალა, რაც ხსენებულ ორგანიზაციებს და ჯგუფებს აღმოაჩნდებათ. თქვენ ხედავთ, რომ ყველა იმ პუნქტების შესრულება, რომლებსაც მეხუთე მუხლი შეიცავს, საქართველოს ხდის საბჭოთა რუსეთის ნამდვილ მოკავშირეთ. ეს კი თავისთავათ გულისხმობს ანტანტაზე დამოკიდებულების და მასთან კავშირის გაწყვეტას; ეს ნიშნავს საქართველოს განთავისუფლებას ანტანტის იმპერიალისტების გავლენისაგან და სამაგიეროთ სოციალისტური რუსეთის ძლიერი პოლიტიკური, კულტურული და იდეიური გავლენის ქვეშ მოყოლას. და საქართველოს მმართველი მასსის, მუშების და გლეხების სახელით ჩვენ არ შეგვიძლია

უნდა გამოვტყდეთ და ვთქვათ, რომ საქართველო ამ ორ ნახევარ წლის განმავლობაში გზა აბნეული იყო; რუსეთიდან მოწყვეტის შემდეგ მან ბევრი იარა და ბოლოს ისევ ძველ ადგილას მოვიდა; ის ისევ დაუახლოვდა რუსეთს, რუსეთს მართლა განახლებულს, სოციალისტურს, რუსეთს მუშებისას და გლეხებისას. როგორც ახალი, დღევანდელი საბჭოთა რუსეთი არა გავს ძველს, მეფეთა რუსეთს, ისე საქართველოს დღევანდელი დაახლოვება და კავშირი რუსეთთან არ ემგვანება იმ ურთიერთობას და იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობდა ძველ რუსეთსა და საქართველოს შორის. სულ ახლო მომავალში გამოირკვევა, თუ რა სახეს, რა კონკრეტულ ფორმას მიიღებს ეს ახალი ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის.

აი რაში მდგომარეობს ამ საზავო ხელშეკრულების უდიდესი მნიშვნელობა; ამის არ დანახვა შეუძლებელია, და მხოლოდ საბჭოთა რუსეთის და საბჭოთა მთავრობის აშკარა და ფარულ მტრებს შეუძლიათ არ დაინახონ ეს გარემოება.

ბ-ნ ს. დევდარიანის ერთი ტყუილთაგანი.

ბ-ნი ნ. დევდარიანი დიდი ხანი არ არის, რაც ყოფილ დობროვოლიის სამფლობელოდან დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მან ამ მცირე ხნის განმავლობაშიაც მრავალი ტყუილების და ინსინუაციების გავრცელება მოასწრო საზოგადოებაში თუ პრესის, თუ სიტყვიერი ქადაგების საშუალებით. აქ ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთ მის დიდ ტყუილზე და სიცრუეზე მივუთითოთ. „ერთობის“ № 124-ში მოთავსებულ წერილს იგი შემდეგი სიტყვებით იწყებს: „რუსეთში მენშევიკები, აგერ ორ წელიწადზე მეტია, **არა ლეგალურ პირობებში იმყოფებიან. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ აქვს იქ ღია ასპარეზზე მუშაობის ნება...** ლენინის მთავრობა ვერ ითმენდა და ჩვენია) შემდეგ ბ. დევდარიანს მოყავს პარალელი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის და ა მ ბ ო ბ ს, რომ ბალშევიკებიც აქამდის იატაკქვეშ ისხდენ. აქ სოც.-დემოკრატიული მთავრობა არ აძლევდა მათ ლეგალურათ არსებობის ნებას, რადგან ისინი შეიარაღებული ხელით ფიქრობდენ ბრძოლას და არა პრინციპიალური აზროვნებით. ახლა, როგორც ჩანს, რუსეთთან ზავის შემდეგ მშვიდობიან ნიადაგზე აპირებენ მუშაობას, ამის საშუალება ეძლევათ საქართველოში. ეძლევათ აქაურ ბალშევიკებს ის, რაც რუსეთში არ აქვთ მენშევიკებსო“.

დავანებოთ თავი ფაქტების დამახიჯებას საქართველოს ბალშევიკების შესახებ. მაგრამ ბ. დევდარიანი სტყუის საბჭოთა რუსეთის შესახებ, როცა იგი წარბშეუხრელათ ამტკიცებს, რომ იქ „მენშევიკები ორ წელიწადზე მეტია, რაც არალეგალურ პირობებში იმყოფებიანო“. თუ რამდენათ მართალია ამ სტრიქონების ავტორი, ეს იქიდან სჩანს, რომ სწორედ ამ დღეებში თვით „ერთობა“—„ბორბაში“ იყო მოთავსებული ცნობა—მენშევიკ მარტოვის მოხსენების შესახებ, რომელიც ბ-მა მარტოვმა ლეგალურ ულეგალურეს კრებაზე წაიკითხა მოსკოვში და რომლის ახგარიში ბალშევიკურ „პრავდაში“ იყო მოთავსებული, საიდანაც „ერთობა“—„ბორბამ“ ის გადმოიღეს. გარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ, როცა ამ რამდენიმე თვის წინეთ მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნები იყო, მენშევიკების ფრაქციამ, თუ არ ვცდები, 48 დეპუტატი გაიყვანა და იმათ შორის თვით მარტოვიც. მენშევიკებს აქვთ მოსკოვში თავისი კლუბი, სცემენ გაზეთს. რა არის ეს? ნუ თუ ამას ეწოდება არალეგალურ პირობებში მუშაობა. ყოველივე ეს კარგად იცის ბ. დევდარიანმა, და არ შეიძლება არ იცოდეს. ასეთი ტყუილებით კვებავენ მენშევიკების მწერლები თავის მკითხველებს. ასეთი ტყუილები საჭირო იყო იმათთვის იმიტომ, რომ გაემართლებიათ აქ ბალშევიკების წინააღმდეგ რეპრესიები ხმარება. თუ არ ტყუილებით, **აბა**, სხვა რამეთი როგორ შეიძლებოდა **აზის** გამართლება.

პრესა

თბილისში ისევ განახლდა გაზ. „ვოლნი გორეცის“ გამოცემა. მის მესვეურთ გაუცრუვდათ იმედები, ვერ გასჭრა იმათმა მუხანათურმა, დემოკრატიზმით შეზავებულმა მოღვაწეობამ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ: ჩრდილოეთ კავკასიაში კვლავ აფრიალდა საბჭოთა მთავრობის წითელი დროშა.

ახმედ ცალიკოვი, რომელიც მთელი ერთი წლის განმავლობაში ცილის წამებით და ინსინუაციებით ავსებდა „ვოლნი გორეცის“ ფურცლებს საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის შესახებ და რომელიც დღიდან საბჭოთა მთავრობის აღდგენისა ჩრდ. კავკასიაში სადღაც გაქრა, ახლა კვლავ გამოძვრა ბნელი სოროდან იმ მიზნით, რომ სოციალ-დემოკრატიული ფირმით აწარმოვოს ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა მთავრობის მოღვაწეების ტალახში ამოსვრა, რათა საბჭოთა მთავრობას სახელი გაუტეხოს, დასცეს მისი პრესტიჟი. ამ მიზნით ბ-ნი ცალიკოვი არაფერს ერიდება. განახლებული „ვოლნი გორეცის“ უკანასკნელი ნომერი (№ 39) სავსეა ტყუილებით, სიცრუით, ცილისწამებით. შეუძლებელია ასეთ ორგანოსთან კამათი, როცა მისი ერთად ერთი მიზანი წინდაწინ თრევალანძღვა, პროვოკატორობა და ცილისწამებაა,

---

ნელი იმედი

ევროპის ბურჟუაზიის უკანასკნელ იმედს დღეს მხოლოდ პოლონეთის თეთრი გვარდია შეადგენს.

ორ წელიწად ნახევარია, რაც გარეშე თუ შინაური ბურჟუაზია სხვა და სხვა სახით ილაშქრებს სოციალისტურ-რუსეთზე. მან პირველად სრული ოკუპაცია სცადა; არხანგელსკი-ციმბირი-უკრაინა და სხვები.—ჩეხოსლოვაკები, კოლჩაკ-დენიკინის შემოსევა, თოთხმეტი სახელმწიფოს მიერ ბლოკადა და სხვა ვრცელი საშვალებებით ბრძოლა ს. ს. რუსეთთან.

მაგრამ ის ყოველთვინ და ყოველგან დამარცხდა; მუშათა ბატალიონები სოციალისტური სამშობლო დაიცვეს, და მტერი სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში დაასამარეს.

დღეს კი დიდ ავანტიურაში პოლონეთი გააბეს.

ბევრს გულუბრიყვილოს კიდევაც გონია, რომ თითქოს პოლონეთი ავანტიურა, მათი მტაცებლური მადა, ოლიკურ დასკვნამდეს მივიდოდეს, [illegible] საბჭოთა რუსეთი ან უკრაინა თუ. ვინმე დროებითაც დამარცხდებოდეს!! თუმცა არ უნდა, რომ პოლონეთის სამხედრო ძალა გაცილებით აღემატება კოლჩაკ-დენიკინის იყო; პოლონეთის კაპიტალისტებმა ამ ორი წლის განმავლობაში, რაც შეიძლებოდა, გაწვრთნეს და შეიარაღეს ავანტიურისათვის იმპერიალისტურ-კაპიტალისტური ჯარი.

მაგრამ ეს ცოტაა. სამხედრო გამარჯვება მაშინ შეიძლება, როდესაც მას გამარჯვების ნიადაგი აქვს თუ გინდ მორალურათ. ძლევა მოსილი წითელი ჯარი მარტო იმიტომ კი არ იმარჯვებდა და იმარჯვებს, რომ ის ახალ პლანზე, ახალ სისტემაზეა აგებული და საუცხოვო სტრატეგები ყავს, რომელიც თვით პროლეტარიატმა და მისმა წითელმა ჯარმა წარმოშვა ვახმისტრ ბუდიონების, პოტუჩიკ ანტონოვების და პოლკოვნიკ კამენევების სახით, არამედ მას მუდამ ნიადაგი ჰქონდა. ის ჯერ

უპირველესად სოციალისტურია, მორალურათაა მაღალი, მას მუშების საქმე ჰქონდა და აქვს მინდობილი.

ატამან გრიგორიევს - იგივე წითელი ჯარის კაცები ყავდა, როგორიც ჩვენ. პირიქით, მისი მეექვსე დივიზია გაცილებით სხვა დივიზიაზე უკეთ იყო შეიარაღებული, მაგრამ, როდესაც ამ ჯარის შტაბმა ფაქტიურათ საბჭოთა სოც. მთავრობის ლიკვიდაცია იკისრა და ფრონტი შექმნა, ის დაამარცხა ტკაჩენკოს ბრიგადამ. მეორე, სად მიდის პოლონეთი? რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა ახლა ის? უმეტესათ—უკრაინისაა, უმთავრესი ნიშნები მისი დამარცხების. ვისაც უმუშავნია უკრაინაში, პირველად ის იმაში დარწმუნდებოდა, რომ მათ ყოველივე გარეშე ძალა სძულთ, და გარეშე ძალის წინააღმდეგ მისმა მტერმაც რომ მიუწოდოს, უკრაინის ხალხი მზადაა სისხლი დაღვაროს, მაგალითებ დირექტორიის გამოსვლა გარეშე ოკუპანტების წინააღმდეგ. მოიხმარია რა დირექტორია უკრაინის მუშებმა და გლეხებმა ამ საქმეში, მერმე თვით დირექტორია განდევნეს და საბჭოთა მართველობის წესები შემოიღეს...

დღეს რუსეთ-უკრაინის დაღლილ წითელ ლაშქრის ფრონტი პოლონეთის კაპიტალისტურ — რეაქციონურმა ლაშქარმა გაარღვია და იქაურ მიწა-წყალს დაეპატრონა. მერე რა ხთება მათ ზურგს უკან?—თუ უკრაინის პარტიზანები ტერორით ებრძოდნენ ავსტრია-უნგრეთ-გერმანელების ჯარს 1918 წ., პოლტავა, ხარკოვ, ეკატერინოსლავის გუბერნიებში, დღეს ვოლინ-მინსკის გლეხების ფართე მასიური აჯანყებაა თეთრგვარდიელთა ზურგში მახვილს სცემენ. (იხილე ამავე ნომერში მოთავსებული ცნობები გლეხთა აჯანყების შესახებ.) მაშასადამე, ვინ გაიმარჯვებს? სად მომხდარა სამხედრო გამარჯვება, როდესაც ზურგში ჯარს სცემენ!

მერმე ვის შეუძლია დაიპყროს ის მუშები და გლეხები, რომლებმაც ნახეს და გამოსცადეს საბჭოთა სოციალისტთა მთავრობა?

უკრაინამ ზურგში დასცხო და განდევნა დენიკინის ლაშქარი. უკრაინის მუშებმა და გლეხებმა განდევნეს პირველი და მეორე რადა; მათ განდევნეს პავლო სკოროპადსკის მთავრობა სხვა და სხვა გარეშე ოკუპანტებით, დირექტორია და მისი ნაშთები ატამანი გრიგორიევი, ტიტიუნიგი, და საბჭოთა მთავრობა აღადგინეს. გასულ წელს თვით ავანტიურისტულმა რუმინიამ, რომელმაც უნგრეთის საბ. სოც. მთავ. დაანგრია, ვერ იკისრა პეტლიურასთან და სხვებთან კავშირი საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ, და მხოლოდ მზვერავი რაზმებით საზღვრებზე შიშიანობას იწვევდა.

ეჭვი არაა, უკრაინის მოკლე რევოლიუციონური ისტორია საბჭოთა მთავრობის დაცვას ამბობს. ვის არ ახსოვს კოლონისტების კავშირი დენიკინთან და მათი დეპუტაცია ზადნესტროვიის გლეხებთან? კოლონისტებმა დეპუტაცია გაგზავნეს შეერთებოდა ისინიც აჯანყებულთ საბჭოთა მთავრობის დასამხობათ და დამფუძნებელი კრების მოსაწვევათ. გლეხების პასუხი იყო: თუ რამე სხვა არის, შეგიერთთებით, მხოლოდ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ არამც და არამცო". გრიგორიევმა კარგათ იცოდა, თუ როგორ უყვარდა უკრაინელ გლეხებს (ჩვენ არ ვამბობთ კულაკებზე) საბჭოთა წესები და სწორედ ამიტომ შანროდი წამოაყენა აჯანყების დროს ლოზუნგათ თავის უნივერსალში: ძირს საბჭოთა მთავრობა, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებასო, არამედ: ძირს ებრაელები, გაუმარჯოს ნამდვილ საბჭოთა მთავრობასო" (უნივერსალი ასე თავდებოდა: **да здравстует подлинная сов. власть**). ცხადია აქედან, თუ რა ცუდ პირობებშია იქაური კონტრ-რევოლიუცია რევოლიუციასთან საბრძოლველად. აი სად, რომელ ქვეყნისაკენ მიეშურება პოლონეთი აი, ვისთან აქვს შეტაკება. თქმა არ უნდა, რიგში პოლონეთის დამარცხება დგას. დღეს თუ ხვალ არამც თუ „ბელაია ცერკოვთან" უნდა მოველოდეთ ბრძოლას, არამედ უკანასკნელი იმედების გაცრუების შემდეგ ვარშავის ქუჩებში აჯანყებას...

თენგიზი.

პარტიული ცხოვრება.

ხაშური. 1920 წელს 6 ივნისში ხაშურის რაიონში პირველათ გაისმა ლეგალურათ შეკრებილ კომუნისტურ იაჩეიკების წარმომადგენელთა მიერ შემდგარი კონფერენციის ხმა. ეს ხმა იყო ნათელი გამომხატველი მისა, რომ არ მომკვდარა და არც მოკვდება ის, რაც უკვდავია მუშათა წრეში—კომუნისტური აზრი.

კონფერენციამ ერთობ მწყობრათ, დალაგებულათ და დინჯათ განიხილა მომენტის განმარტება, ორგანიზაციული საკითხები და მიიღო შესაფერი რეზოლიუციები, რომელნიც აქვე მოგვყავს.

კონფერენციამ გამოიტანა ზოგიერთი კითხვების შესახებ დადგინილება და მიმართა კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რათა მან წინადადება მისცეს მთავრობას ადგილებიდან დათხოვნილ ამხანაგების დასაბრუნებლათ, დატყვევებულ ამხანაგთა განსათავისუფლებლათ და ხაშურის რაიონში მომხდარ ამხ. ქოლიაშვილის მოკვლის გამოსაძიებლათ.

მოხსენებებზე. 1920 წ. იანვრის 6-ში მომხდარმა ხაშურის რაიონის კომუნისტურ „იაჩეიკების" მოწინავე ამხანაგთა კონფერენციამ, რომლის მიზანიც არის ლეგალურ პირობებში მოაწყოს გადახალისებული და ახალი კომუნისტური ორგანიზაცია, მოისმინა რა ამხანაგთა მოხსენებები ადგილებიდან, ერთხელ და კვალათ აღიარებს, რომ მენშევიკების მმართველმა მთავრობამ თვისი რეპრესიებით და დევნით სავსებით ვერ მიაღწია მიზანს; სცნობს რა მშრომელი მასის სულიერ განწყობილებას, თამამათ გამოსთქვამს, რომ კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია ჩვენს რაიონში ჰპოვებს ნაყოფიერ ნიადაგს კლასთა ბრძოლისას, რომ იგი შესძლებს მკვიდრს და დისციპლინარულ პარტიული რაზმების შექმნას, რომელნიც გააძლიერებენ საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

ხაშური. ხაშურის რაიონული კონფერენცია, გაეცნო-რა 29 მაისში თბილისში მომხდარ კომუნისტურ თათბირის რეზოლიუციას, სავსებით ეთანხმება ამ რეზოლიუციით ღირსეულათ თანამედროვე მომენტის დაფასებას და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალი საქართველოს კომუნისტური პარტიის სიეზდი, რომელიც იქნება ლეგალურ პირობებში აშენებულ ორგანიზაციათა სრულ უფლებიანი წარმომადგენელი დაადასტურებს ამ თათბირის მიერ გამოთქმულ შეხედულებას.

საქ. კომ. პარტ. ც. კომ.-ს. 6 ივნისს, ხაშურის რაიონის კომუნისტური „იაჩეიკების" მოწინავე ამხანაგთაგან შემდგარი კონფერენცია „ბიძღვნით მხურვალე სალამს ჩვენი პარტიის მესვეურთ, გისურვებთ გაასკეცებული ენერგიით გეღვაწეოთ მუშათა კლასის საბოლოო მიზნების განსახორციელებლათ და გპირდებით მთელი ძალღონით დაგეხმაროთ იმ ძეგლის ასამართავათ, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტია ჰქმნის, როგორც მესამე ინტერნაციონალის ერთი რაზმი.

საგჯოთა რუსეთში

„განმათავისუფლებელნი".

უმაღლესმა ხელმძღვანელმა პოლონეთის ჯარის პილსუდსკიმ მიმართა უკრაინის ხალხს შემდეგი პროკლომაციით.

ყველა უკრაინის მცხოვრებთ!

ჩემი ბრძანებით პოლონეთის არმია დაიძრა და შევიდა შუაგულ უკრაინაში.

ვაცნობებ მცხოვრებთ, რომ პოლონეთის არმია დარჩება უკრაინაში, სანამ იქ არ დამყარდება ნამდვილი მთავრობა, სანამ უკრაინის ნაციონალური მთავრობა არ დაამყარებს ნამდვილ ძალაუფლებას, სანამ უკრაინის ჯარი შესძლებს დაიცვას თავისი საზღვრები ახალი შემოსევიდან, როდესაც თავისუფალი ხალხი თვით გადასწყვეტს თავის ბედს, მაშინ პოლონეთის არმია დაბრუნდება პოლონეთის რესპუბლიკაში. უკრაინაში დაბრუნდება სემიონ პეტლიურას წინამძღოლობით მისი ჯარი, რომელმაც დიდი გაჭირვების დროს ნახა დახმარება მხოლოდ პოლონელ ხალხში. მე მწამს, რომ უკრაინის ხალხი პოლონელთა იარაღის დახმარებით შესძლებს თავისი თავისუფლების შერჩენას.—უკრაინის ყველა მცხოვრებთ პოლონეთის არმია გარანტიას აძლევს დაიცვას და დაიფაროს ისინი.

— 20 აპრ. რიგას გაზეთს „დენს" მოყავს ქ. ვენის ცნობები, რომ პოლონელებმა ვოლინში გაგზავნეს დამსჯელი ექსპედიცია, რათა ჩააქრონ პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული გლეხთა აჯანყება. დამსჯელმა რაზმმა დახვრიტა აჯანყების მეთაურები, დასწვა მათი სახლები და რეკვიზიცია უყო დახვრეტილთა ქონებას. მიუხედავათ ამისა გლეხობა უარს ამბობს იცნონ პოლონელების წესები.

— კიდევ რიგას გაზეთი „ვოლიას" ცნობით 22 აპრილიდან მინსკის გუბერნია გლეხთა აჯანყებამ მოიცო. აჯანყებულ გლეხთა გუნდები—200-500-დე ებრძვის პოლონელების ექსპედიციას. პოლონელი მემამულენი ქალაქებში გარბიან. აჯანყებას ცეცხლით და მახვილით აქრობენ. პოლონელთა არტილერიამ საცსებით გაანადგურა სოფლები. დახოცეს ქალები და ბავშვები.

ოდესა. პირველი მაისი. (რადიო) ბუქარესტის გაზეთი „უნივერსულ" 21 აპრ. იუწყება, რომ პოლონეთის ჯარები, რომლებიც დაბანაკებულია გალიციაში საბჭოთა სოც.-რუსეთთან საბრძოლველად, ახდენენ დარბევას (პოგრომებს) და აქეზებენ უკრაინელ და ებრაელ სოფლებს ერთი მეორეს წინააღმდეგ.

შრომის ფრონტზე.

დონეცის ქვა-ნახშირი, რაც ახლა უკვე მზათ აქვთ გამოღებული, დაახლოვებით 110 მილ. ფუთს უდრის. შრომის არმიის საბჭომ ქვა-ნახშირის სამრეწველოების მილიტარიზაცია გადასწყვიტა, რის გამოც იქ 18—45 წლიანების, ხოლო სპეციალისტების 55 წლისაც შრომის ბეგარა გამოაცხადა. გამოღებული ქვა-ნახშირი სამხედრო უწყების ქონებათ ჩაითვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ დონეცის მიდამოებში ქვა-ნახშირის მრეწველობა სამხედრო წესზე იქნება დაყენებული. ასეთი წესი კი უზრუნველყოფს, რომ ყოველ თვიურად გამოღებულ იქმნას 50—60 მილიონამდე ქვა-ნახშირი.

კავკასიის ფრონტზე სათბობი მასალის დამზადება შესრულებულ იქმნა, როგორც სამხედრო საქმე. იქ წითელი არმიის ნაწილების მიერ მცირე დროს განმავლობაში დამზადდა 15,000 კუბ. საჟენი შეშა, გადატანილ იქმნა 6-ნახევარი ათასი კუბ. საჟ.

შრომის არმიის მიერ შეშის დამზადების საქმე აღმოსავლეთ ფრონტზე უკანასკნელ დროს ორჯერ მეტად გაიზარდა მიმდინარე წლის თებერვლის თვესთან შედარებით.

სურსათი წითელი არმიისათვის.

სამარის გუბპროდკომ დასავლეთის ფრონტზე მყოფ ჯარებს უგზავნის 60 ათას ფუთ პურს და 20 ათას ფუთს ბარტაკ. მთელი გუბერნიის სივრცეზე შეადგენა ჯარებისათვის სურსათი. გლეხკაცობა პურსაც და საქონელსაც დიდი სიამოვნებით უთმობს წითელ არმიას.

რევოლიუციონური აღტყინება.

კალუგის ყველა სამხედრო კომუნისტური იაჩეიკები თხოულობენ, რომ გაგზავნონ ისინი მოხალისეებათ დასავლეთ ფრონტზე. უკვე ჩაეწერა გასამგზავრებლად 4,000 მოხალისე-კომუნისტები. აწყობენ მაგარს და სასწრაფო კომუნისტურ ბათალიონს.

შრომის ნაყოფიერების ზრდა.

ჩელიაბინის რკინის გზელებმა შრომის ნაყოფიერება 4-ჯერ მეტად გაადიდეს ომის წინა დროსთან შედარებით. ჩელიაბინის ქვა-ნახშირის მაღაროების მუშებმა ერთ დღეს 140,000 ფუთი ნახშირი გამოიღეს და 155,000 ფუთამდე ქვა-ნახშირით ვაგონები დატვირთეს.

მრეწველობის აღორძინება.

პეტროგრადისა და პეტროგრადის გუბერნიის საწერ-ქაღალდის ფაბრიკებში აპრილის თვეში სულ 50,000-მდე ფუთი გაზეთის ქაღალდი დამზადდა.

კარლ მარქსის ძეგლის საფუძვლის ჩაყრა.

პირველ მაისის „სუბოტნიკის" დღეს, თეატრის მოედანზე მოხდა კარლ მარქსის ძეგლის საფუძვლის ჩაყრა. ლენინის გამოჩენას შეხვდენ მქუხარე ტაშით დამარშის დაკვრით.

ტრიბუნასთან გამწკრივებული იყვნენ სოვნარკომისა, სრულ. რუს. ცენ. აღმ. კომ. წევრები და მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის წევრნი. ლენინმა დამსწრეთ მიმართა მოკლე სიტყვით და აღნიშნა კარლ მარქსის მნიშვნელობა, როგორც სოციალიზმის ბელადის. — მშრომელნი იყვნენ მონობის უღელ ქვეშ,— ამბობს ლენინი.—მიუხედავათ პოლიტიკური თავისუფლებისა. ეხლა ისინი იბრძვიან მუშათა რევოლიუციისათვის, რომელიც შექმნის სოციალისტურ საზოგადოებას მემამულეებისა და კაპიტალისტების გამოკლებით.

რუსეთს აქვს დიდი დიდება და ბედნიერება მოეხმაროს ამ სოციალისტურ საზოგადოებასა და საერთაშორისო საბჭოთა მთავრობის დაარსებას. საერთაშორისო შრომის დღესასწაულის დღეს, განაგრძო ლენინმა,—როდესაც გვინდა დაუმტკიცოთ ყველას, რომ ჩვენ შევსძლებთ გადავსჭრათ სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციების—ამოცანა, ჩვენ ვდღესასწაულობთ კარლ მარქსის ხსოვნას. და მე მწამს, რომ ძეგლი, დაფუძნებული ჩვენს მიერ, დიდებულ მასწავლებელის, ნიშანი იქნება იმის, რომ ყოველივე თქვენი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს დიდი ხნის შრომის საჭიროებაზე, რომ შეგქმნათ ისეთი საზოგადოება, რომელშიც არ ექნება ადგილი ექსპლოატაციას.

— მოსკოვის საბჭოთა სახელით ილაპარაკა კამენევმა, რომელმაც აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ ამ დღეს 1 მაისს ხორციელდება დიდებული იდეალი, რომლისათვინაც იბრძოდა მარქსი.

„ინტერნაციონალის" მუსიკა განუწყვეტლივ უკრავდა და მის ხმაში მოხდა ძეგლის დაფუძნება; ჩააწყვეს აგურები და მაზე პირველი ქვა მომავალი ძეგლისა, გაიარეს რა ძეგლის დაფუძნების ადგილიდან ამხ. ლენინმა და კამენევმა შეჩერდენ როზა ლიუქსემბურგის ძეგლის ახლოს, სადაც ბავშვები მუშაობდენ. ამხანაგმა ლენინმა და კამენევმა ბავშვს მიესალმენ, რამაც ბავშვებში გამოიწვია დიდი სიხარული და აღფრთოვანება.

გაზეთ „კომუნისტის" ფონდი

მიღებულია შემოწირულება ფონდის გასაძლიერებლათ შემდეგი პირებისაგან:

გაზეთ „ბორბაზე" მომუშავეებ.	930 მ.
სვიმონ სვიმონის ძე აბაშიძე	500 მ.
დავით გორამიშვილი	300 მ.
სულ	1730 მ.

მისალმებანი გაზ. „კომუნისტს"

ხ. შუხუთი. სალამი კომუნისტურ გაზეთს და კომუნისტის ხელმძღვანელებს. მზ. მონდობ. **გიორგი მახარაძე.**

ქ. ლანჩხუთი. აღფრთოვანებით ვეგებებით გაზ. „კომუნისტის" დაარსებას. ლანჩხ. კომუნისტები-ქალები.

ახალი ამბები

— ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: კომისია, რომელიც განაგებს პოლიტიკურ დატუსაღებულთა წითელ-არმიელების გაგზავნის საქმეს, აცხადებს, რომ თანახმად თერგის საოლქო რევკომის დადგენილებისა, დროებით, ახალ განკარგულებამდე, აღიკრძალა ქალაქ კაკავში შესვლა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ნებართვას მისცემს კომისია. თუ ასეთი ნებართვა არ ექნა, არავის არ შეუძლია საბჭოთა რუსეთის საზღვარზე გადავიდეს.

— **ს. კ. პ. მეორე რაიონის იაჩეიკების წარმომადგენელთა საყურადღებოთ:** ოთხშაბათს, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე, რუსის ნაციონალური საბჭოს ბინაზე ს. კ. პ. მე-2 რაიონის ბიუროში დანიშნულია რაიონის პასუხისმგებელ ამხანაგების სხდომა. სპეციალურათ არჩეული კომისია ამ კრებაზე მოიწვევს ამხანაგებს იაჩეიკების წარმომადგენლებს გარდა სხვა საჭირო ამხანაგებსაც. დღის წესრიგი: 1) პრესა, 2) კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, 3) საორგანიზაციო კითხვები და 4) სხვა-და-სხვა. იაჩეიკების წარმომადგენელთ ვთხოვთ უსათუოდ დაესწრონ.

— **საფოსტო დამოკიდებულება მანგლისთან.** თბილისის ერობამ დაადგინა მოაწყოს თბილის-მანგლისის შარა გზით საფოსტო დამოკიდებულება.

— **მეცადინეობა ქალაქის დაწესებულებებში.** ქალაქის თვითმართველობასა და ქალაქის მილიციის სამმართველოში მეცადინეობა შემოიღეს ზაფხულის დროით. ე. ი, დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე.

— სომხეთის მთავრობას ამ ამათ მოლაპარაკება აქვს საქართველოს მთავრობასთან 260 პოლიტიკური ტუსაღების საქართველოს ტერიტორიაზე გასატარებლათ საბჭოთა რუსეთში. ყველა ესენი ადმინისტრატიული წესით არიან დატყვევებულნი უკანასკ... გამო. გარდა ამისა სომხეთის ... ღოებში სხედან: 5 ამხანაგი, რო... სიკვდილით დასჯა აქვთ გადაწყ... რამდენიმე ათეული კატორღე... ჯარისკაცები.

დეპეშები

(საქარ. დეპ. საგ.)

მოსკოვი, ივნ. 2. ც. კ. ბიულეტენი.

მოსკოვი, ივნ. 5. სამხედრო ...ბი. პიტალოვის მიმართულებით ... ჯავშნიანი მატარებელი ყუმბარ... როდა ჩვენ პოზიციებს. სადგ. ... სამხრეთ-დასავლეთ დვინის ... ნაპირის რაიონში ჩვენ ბრძოლი... ღეთ დაბა იოზი სვენციანის მ... ლებით. შემდგ ჩვენნი ჯარები ... ზიციებზე გადადიან. ბორისოვის... ში ბერეზინის მარჯვენა ნაპირზ... რის გაფუჭების გამო ძირს დაეშვ... თვითმფრინავი. მფრინავი ტყვე... ვიყვანეთ. ბობრუისკის რაიონ... რუისკის ჩრდილოეთით 12 ვერ... ტიკი ბრძოლებია. ტარაშჩის რაი... მატებითი ცნობებით ჩვენმა ... მტერს საგრძნობი ზიანი ... ხელთ ვიგდეთ ტყვეები, 30 ... მფრქვეველი, 1 ყუმბარის მტყ... და სხ. სკვირ-ლიპოვეცის რაიონ... მა მოწინავე ნაწილებმა დაიკავე... რომელიც პოლონელებმა დ... ლიპოვეცთან ჩვენმა ნაწილებმა ... გზის დასავლეთით უკუაგდეს ... ტევაზე გადმოსული მტერი. სად... ტოვოსთან ჩვენმა ჯავშნიანმა ... ბელმა ხელთ იგდო მტრის 3 ზ... ყუმბარებით, ტყვიისმფრქვეველ... ცხენები. ბაქოდან ასტრახანში გ... 6,000 ფუთი ნავთი და 50,000 ... კეროსინი. ისპანიაში გაფიცვები... დება. კიევის გუბერნიაში იფეთ... თა აჯანყებამ, რომელიც პოლო... ყაჩაღობამ და ძალადობამ გ... აჯანყების ჩასაქრობათ გამო... პოლონეთის ჯარები, თვით პოლ... პარტიზანულმა გლეხებმა ააფე... ტარებელი ორი ეშელონით, ... დიდი შემადგენლობით, რომლებ... მხედრო მასალა იყო. გლეხებ... იძიებენ მემამულეების მიერ ... წართმეულ მიწისათვის. პოლ... მთავრობამ 6 წლის მობილიზაც... აცხადა. გლეხები მობილიზაც... მოდიან და ტყეებში იმალებიან ... ლიურას მიერ გამოცხადებულ... ლიზაცია არ ჩატარდა. მოწვეულ... ხები გარბიან ტყეებში და პოლ... ჯარებს თავს ესხმიან.

მოსკოვი, იან. 6. მიეცით ... წითელი წინამძღოლები, პო... თან ომი სერიოზული ომ... ლონეთი მარტო არ არის. მის... უკან სდგანან ძლიერი სახელმწ... საფრანგეთ-ინგლისის იმპერიალ... კავშირი დაიჭირეს არა მარტო ... ნეთსა და ვრანგელთან, არამედ ... ტოვებულია). ჩვენს წინააღმდეგ ... ნეთში სასწრაფო მზადებაა. ... უნდა, თვით პოლონეთი და... დაღლილია, მაგრამ თეთვვარ... დივიზიების შესადგენათ ანტა... ყველაფერს აწვდის.

მოსკოვი, ივნ, 7. ფრონტზე ... წითელ არმიელების წინამძღოლ... ცილების გამო გაზეთები პოლ... შლიახტასთან ომის დახასიათებ... ლებს უძღვნი „იზვესტიამ" „პ... „ბედნოტამ" „კომუნისტიჩესკ... მა" მორიგ ნო... ებში წამოაყენ... ზუნგთა მთელი წყება, რომელთა... სი შემდეგია:

მოსკოვი (გაგრძელება). ომი... პოლონეთთან, ომი სერიოზული, ... და მძიმე. გამარჯვებას მოგვაცილ... ლოდ დარაზმული, ძლიერი და ... ლინით განმტკიცებულ—შეკავში... ჯარი გლეხებისა და მუშებ... ჩვენ მთელ ძალას არ მოვიკრებ... საჩქაროთ გავათავოთ ომი პანუ... ლონეთთან, მაშინ ჩვენ მოგ... კვლავ სიცივესა და შიმშილში... ტაროთ ზამთარი. საბჭოთა ... დღეს ფრონტზე პოლონელებთან ... ძოლველად ასობით აცილებს ... ოფიცრებსო. „პრავდაში" ბუხარ... რილში, რომელსაც სათაურად „ ... ტალლა" აქვს, სწერს: „საბჭოთ... სეთს კვლავ საფრთხე მოელის, ... ვის კარზე მიმდგარი ბურჟუაზი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველგვარ ძალღონეს იკრებს, ბრძოლა დასავლეთის ფრონტზე უფრო და უფრო სასტიკი და ძლიერი ხდება. პოლონეთის თეთრი გვარდია, რომელმაც გაანადგურა ბორისოვი, მთელ თავის სამარქაფო ჯარს იშველებს და ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად მოყავს ის ნაწილები, რომლებიც გერმანიის საზღვარზე იდგა. ამასთანავე ინგლისელი დიპლომატები ვრანგელისა და კეთილშობილ ლორდ კერზონი, რომელიც ჩვენ ლმობიერებას ითხოვდა ბრწყინვალე ბარონ ვრანგელისათვის, სინამდვილეში კი პროვოკაციულად ეხმარებოდა ბარონ ვრანგელს მისი თეთრი ჯარის გარდაქმნაში, რომ იგი ავაზაკურათ თავს დასხმოდა საბჭოთა რესპუბლიკას. ბარონი უკვე შემოტევაზე გადმოდის და ამგვარ პირობებში შეუძლებელია ეშვი შევიტანოთ იმაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკის თავზე საერთაშორისო კაპიტალის ახალი ინტერვენციის მუქარა არისო". შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ ყველა კაპიტალისტი და იმპერიალისტი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოდის და ყველანი კონტრ-რევოლიუციის მეცხრე ტალღით სცდილობენ წალეკონ საბჭოთა რუსეთი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ორ ძალის ბრძოლის გამოსავლიდან დამოკიდებულია რუსეთისა და მშვიდობიანობის ბედი და სხვა. გაზ. „პრავდაში" სოსნოვსკი ათავსებს წერილს, სადაც აღნიშნავს კონტრ-რევოლიუციონურ ძალების გაერთიანებას რუსეთის წინააღმდეგ. ის ამბობს: ჩვენ უნდა მოვემზადოთ დენიკინის გამყიდველ რაზმების ხელ ახლა შემოტევისთვის და საშუალება არ უნდა მივსცეთ მათ ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებისაო. ვრანგელს კავშირი აქვს პოლონეთთან და ანტანტასთან დაჭერილ საბუთებიდან სჩანს, რომ ვრანგელსა და მის შტაბს მჭიდრო კავშირი აქვთ აგრეთვე დედოფალ მარია თეოდორის ასულთან.

მოსკოვი. (გაგრძელება). დენიკინის ბანაკში ბარონ ვრანგელის ჯგუფი აშკარათ გამოდიოდა მონარქიის აღდგენის მომხრეთ. მათ სურდათ მემამულეებს დაბრუნებოდათ მიწა და აღედგინათ აზნაურთა უფლება და უპირატესობანი. დღეს ისინი ჩვენს წინააღმდეგ მოდიან, მაგრამ თავის მიზანს ვერ შეასრულებენ ისე, როგორც ეს ვერ შეასრულა დენიკინმა. საფრთხე დიდია, საჭიროა, ყველა ჩვენი ძალის დაჭიმვაო და სხვა.

ცენტრალურ სოციალური დახმარების საზოგადოება

1. კვირას 6-ს ივნისს, საღ. 6-ს საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, ავლაბრის რაიონში არსებული კულტურული პოლიტიკური და სხვა ორგანიზაციების (რიცხვით თერთმეტის) ინიციატივით მოწვეულ იყო თბილისის მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა საერთო კრება. კრებას დაესწრო მხოლოდ ავლაბრის ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რიცხვით 67 კაცი. კრება კანონიერად გამოცხადდა.

კრების მიზანი იყო დაარსება სოციალური დახმარების საზოგადოების ერთი ცენტრალური ორგანოსი.

ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ შრომისა და სოციალური დახმარების განყოფილების გამგის ათაბეგ-ტუმასის წინადადებით ხმის უმეტესობით გადაწყდა შემდეგი საკითხები.

1) საქველმოქმედო „კავშირ კაპეიკას" ამიერიდან ეწოდოს ქალაქ თბილისის ცენტრალური სოციალური დახმარების საზოგადოების კომიტეტი.

2) ორთაჭალაში არსებულ ბავშთა თავშესაფარს ეწოდოს „ბავშთა სახლი № 1 „კავშირ კაპეიკის" სახელობის.

3) მიღებულ იქნას მოქალაქე მისტროვას შეწირულება, მოწყობილი სასადილო 150000 მ. ღირებული ინვენტარით და 50000 მ. ფულად და ეწოდოს სასადილოს სიკ. კონს.-ძის მისტოვის სახელობის „ბავშთა სასადილო." – მომხსენებელის სიტყვით ამ კრებაზე დაარსებულ ცენტრალურ საზოგადოებას საფუძვლად უნდა დაედოს უმთავრესად სამი ძირითადი დებულება: 1) ჯგუფურ და პიროვნებათა ძველ-მოქმედების ნაცვლად ფრთები უნდა გაშალოს აქტიურმა მოქმედებამ მუშათა ორგანიზაციებისამ და ფართო დემოკრატიამ თვით უნდა მისცეს სოციალურ დახმარების საზოგადოებას თავისი ძალები. დემოკრატიის სოციალურ დახმარების საქმეში აქტიური ჩარევით არის შესაძლებელი ამ ცენტრალურ საზოგადოების სწორ გზაზე დაყენება. 2) ცენტრალურმა საზოგადოებამ უნდა გამოიმუშავოს დ მოაწესრიგოს სოციალურ დახმარების ყოველ-ნაირი დარგი, სახელდობრ: უმუშევართა და უბედურ შემთხვევისაგან დაზარალებულთა დაზღვევა, უპატრონო ბავშთა და შრომის უნარის მოკლებულთა შესახებ ზრუნვა-პატრონობა და სხვ. 3) ცენტრალური საზოგადოება უნდა იქნეს საერთო სახელმწიფოებრივ და მუნიციპალურ სოციალურ უზრუნველყოფის პოლიტიკის გამტარებელი. ამისთვის მან უნდა დაიკავოს შესაფერ ორგანოებთან (დამფუძ. კრების შრომის კომისიასთან, შრომის სამინისტროსთან, ქალაქის თვითმართველობის შრომის განყოფილებასთან) მჭიდრო კავშირი. სახელმწიფო და ქალაქი უნდა უწევდეს დახმარებას ცენტრალურ სოც. დამხმ. საზოგადოებას სახელმწიფოებრივ და მუნიციპალურ მაშტაბით.

დამტკიცებულ იქნა აგრეთვე რამოდენიმე მუხლი ამ საზოგადოების წესდებისა.

1) მიზანი ცენტრალ. საზოგადოებისა—მდგომარეობს იმაში, რომ გაატაროს ყოველნაირი და რეგულიარული დახმარება და აგრეთვე გაიხადოს მიზნად ბრძოლა, ყოველნაირ სოციალურ უკეთურობასთან.

2) საწევრო გადასახადათ დაწესდეს 3 მანეთი. საწევრო გადასახადით საზოგადოება კაპიტალს ვერ შექმნის და სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის დაუხმარებლად ვერ იარსებებს. და ამის გამო ეს მცირედი საწევრო გადასახადი იქნეს ჯერჯერობით მიღებული.

3) საზოგადოებას განაგებს—რწმუნებულთა საბჭო რომელიც აირჩევს გამგეობას და ადგილობრივათ კი, რაიონებში, საერთო კრება, რომელიც ირჩევს რაიონულ გამგეობას. რწმუნებულთა საბჭო შესდგება რაიონების წარმომადგენლებისგან და აირჩევა 25 კაცზე—1. და ამით ფართო დემოკრატიის სოციალურ დახმარებაში აქტიური ჩარევა იქნება უზრუნველყოფილი.

კრება დროებით სტოვებს ძველ გამგეობას და არღვევს მას კოოპერაციის უფლებას. გამგეობას უფლება ეძლევა მოიწვიოს ყოველივე საქმით დაინტერესებული პიროვნება და ჩაითრიოს ის მუშაობაში.

ათაბეგ ტუმასი აცხადებს, რომ ოთხშაბათობით საღ. 6 საათზე ყოველკვირეულად „დაშავებულ მხედართა საზოგადოებაში" გამგეობის სხდომებია და მსურველს შეუძლია დაესწროს და მიიღოს მუშაობაში მონაწილეობა.

კრებამ გამგეობას ახლობელ მიზნად დაუსახა—შეკავშირება სახელმწიფოებრივ და მუნიციპალურ სათანადო დაწესებულებებთან. მან უნდა მოაწყოს აგრეთვე სოციალურ დახმარების დღეები.

ათაბეგ ტუმ. გააცნო კრებას ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომ ის მატერიალური დახმარება, რომელსაც ქალაქი აძლევს არსებულ სხვა და სხვა დაწესებულებას, ამიერიდან ხსენებული საქველმოქმედო საზოგადოებანი მიიღებენ მხოლოდ ცენტრალურ სოციალურ დახმარების საზოგადოებიდან, რომლის განკარგულებაში ყოველ თვიურად გადავა 75,000 მან. და კლუბების გადასახადთა რამოდენიმე პროც.

—

ქალაქის გამგეობასთან არსებულმა სოციალურ დახმარების განყოფილებამ—რამოდენიმე დღეა შეკრიბა 113 მათხოვარი ბავშვი. 66 მათგანი სრული ობლებია და გაგზავნა ბავშთა თავშესაფრებში. დანარჩენები მშობლებს დაუბრუნდათ იმ პირობით, რომ ქუჩაში მათ არ გამოუშვებენ, უკიდურეს შემთხვევაში მათ წაერთმევათ ბავშვები და მოთავსებულ იქნებიან ბავშთა თავშესაფარში.

რედაქციისაგან: ვათავსებთ რა ამ ანგარიშს, აღვნიშნავთ, რომ სოციალური უზრუნველყოფის საქმე უნდა მოეწყოს სახელმწიფოს მიერ. ამ საკითხს ჩვენ ვუძღვნით განსაკუთრებულ წერილს.

საქართველოს და რუსეთის შორის დადებული ხელშეკრულება

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთი მხრით, და რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრით, ხელმძღვანელობდენ რა საერთო სურვილით დაამყარონ ორივე ქვეყნის შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა—ხსენებულ ქვეყნების მცხოვრებთა საკეთილდღეოთ, გადასწყვიტეს შეკრან ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს თავის რწმუნებულად: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა მთავრობამ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი. ხსენებულმა რწმუნებულებმა აცნობეს რა ერთმანეთს თავის რწმუნებულების შესახებ, რომელიც აძლევდა მათ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებას, შეთანხმებულ ქვემო მოყვანილ მუხლებში.

მუხლი 1. გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, და თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხსა და ქვეყნის მიმართ.

მუხლი 2. გამოდის რა ხსენებულ ხელშეკრულების მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

მუხლი 3. 1) სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ჰსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე, გადადის ხსენებულ ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისის და თფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდი და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრებამდი.

2. ყველა უღელტეხილი აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე მდებარე 1922 წ. პირველ იანვრამდი ნეიტრალურად არის აღიარებული. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება დაიკავოს ეს უღელტეხილები თავის ჯარებით ან და გაამაგროს ისინი.

3. დარიალის უღელტეხილზე, ამავე მუხლის მეორე პუნკტში აღნიშნული ნეიტრალიზაცია გავრცელდება ბალთიდან კობამდი, მამისონის უღელტეხილზე სარამაგიდან ონამდი, და ყველა სხვა უღელტეხილებზე ხუთი ვერსის მანძილზე ორივე მხრით აღებული იმ პუნკტიდან, სადაც გადის საზღვარი.

4. სახელმწიფო საზღვარის სწორ გაყვანას ორ ხელშემკვრელ მხარის შორის მოახდენს განსაკუთრებული მოსაზღვრე შერეული კომისია, რომელშიაც შევა ერთნაირი რიცხვი ორივე მხარიდან. ხსენებული კომისიის მუშაობის შედეგი დამტკიცებული იქნება ორივე ხელშემკვრელ მხარეთა შორის დადებულ განსაკუთრებულ ხელშეკრულებით.

მუხლი 4. 1) რუსეთი ვალდებულია დიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებათ გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებულ ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თფილისის, ქუთაისის და ბათომის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სუხუმის ოლქები.

2. შემდეგში, ურთიერთობის თანდათანობითი გამორკვევის მიხედვით საქართველოს და რუსეთს გარდა სხვა სახელმწიფო ერთეულებს შორის, რომელნიც არსებობენ ან შესაძლებელია შეიქმნენ საქართველოს სხვა საზღვრებთან გარდა იმისა, რომელიც აწერილია ხსენებულ ხელშეკრულების მესამე მუხლში, რუსეთი მზად იქნება იცნოს საქართველოს შემადგენელ ნაწილად ყოფილ კავკასიის სანამესტნიკოს ეს თუ ის ნაწილი, რომელიც გადავა მის ხელში ამ სახელმწიფო ერთეულებთან დადებულ ხელშეკრულების ძალით.

მუხლი 5. აღიარებს რა სამართლიანად რ უ ს ე თ ი ს მოთხოვნილებას, რომ არ იქნეს დ ა შ ვ ე ბ უ ლ ი შემდეგში საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო ოპერაცია, არსებობა სამხედრო ძალათა და სხვა მოქმედებათა, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექნან პირობანი დამუქრებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან და საქართველოს ტერიტორიას გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოს და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ, საქართველო ვალდებულად ხდის თავს მოახდინოს:

1) დაუყონებლივი განიარაღება და კონცენტრაციულ ბანაკებში მოთავსება ამა საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფთა, თუ კი ასეთები აღმოჩნდებიან, ან სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ნაწილების, კომანდებისა და ჯგუფების, რომელნიც მომავალში შესაძლოა მის საზღვრებში გადავიდენ და რომელნიც რუსეთის მთავრობის, ან მისი ნაწილის, ან და რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის პრეტენდენტის როლში გამოვლენ, აგრეთვე წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა, ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის ძირს ჩამოგდება.

2) დაუყონებლივი განიარაღება და დაკავება საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ გემებისა, რომელიც შედის ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებისა და ჯგუფების საზღვაო სამხედრო ძალთა შემადგენლობაში, და აგრეთვე, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით ამ ორგანიზაციების და ჯგუფების განკარგულებაშია და საქართველოს ნავთსადგურებში იმყოფება. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ სავსებით უნდა განხორციელდეს ამა მუხლის პირველი პუნქტის დადგენილება.

3) ყოველგვარ ჯილდოს მოუთხოვნელად და სრულებით უფასოდ გადაეცეს რუსეთს ყველა სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონება, ღირებულებანი და ფულის თანხები, რომელნიც ამა მუხლის პირველ მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციათა და ჯგუფების მფლობელობასა, და სარგებლობასა ან განკარგულებაში იმყოფება. ამ მუხლის თანახმად სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონებათ იგულისხმება: გემები და სხვა სანაოსნო საშვალებანი და არტილერიის, საინტენდანტოს (მათ შორის სასურსათო და ნივთიერი დაკმაყოფილების) საინჟენერო და საავიაციო მოწყობილებანი.

4) განიარაღების შემდეგ გადაეცეს რუსეთს ამა მუხლის პირველ მუხლში აღნიშნული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟი.

შენიშვნა: რუსეთი პირობას იძლევა, რომ იგი ამ მუხლის ძალით გაცემულ ყველა პირს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

5) მიღებულ იქმნას ზომები გასაოცარ-ად საქართველოს ტერიტორიის იმ საზღვრებიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლით არის განსაზღვრული, ყოველგვარი ჯარისა და სამხედრო რაზმების, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემადგენლობაში არ შედის.

6) მიღებულ იქმნას ზომები, რომ მომავალში არ დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე იმ ჯარებისა და სამხედრო რაზმების არსებობა, რომელნიც ამა მუხლის მეხუთე პუნქტშია აღნიშნული.

7) იმ პირებს, რომელნიც ამა ნ. ახლის პირველსა და მეხუთე პუნქტში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და ნაწილებს ეკუთვნიან, რამდენათაც ეს პირები თავისი ეროვნებით არ არიან ქართველები, აღეკრძალოს რა სახითაც არ უნდა იყოს, მათ შორის მოხალისეთ, საქართველოს სახელმწიფო ჯარში შესვლა.

8) ტერიტორიის იმ საზღვრებში, რომელიც დადგენილია ამა ხელშეკრულების მეოთხე მუხლით, მომავალში არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება რაიმე ორგანიზაციებს დ ჯგუფებს, რომელნიც თავის თავს აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის, ან და რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს როლში, აგრეთვე არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშვალება წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთ, ორგანიზაციებსა და ჯგუფებს, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან ამ შირში მყოფ სახელმწიფოთა მთავრობის ჩამოგდება. ამასთანავე საქართველო ვალად იღებს არ დაუშვას ზემოაღნიშნული ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობათა და თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს ტერიტორიით გატანა ყველაფერი იმისა, რითაც შეიძლება ისარგებლონ რუსეთზე, ან და მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასასხმელად. აგრეთვე აეკრძალოს თავის ნავთსადგურებსა და წყლებში ამ გვარ ორგანიზაციათა გემებისა და სხვა სანაოსნო საშვალებათა არსებობა, გარდა საერთაშორისო სამართლით დადგენილი შემთხვევებისა იმ გემების მიმართ, რომლებიც ილუპებიან და სხვა.

9) იმ შემთხვევაში, თუ ამა მუხლის მერვე პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფებისა, წარმომადგენლობისა დ თანამდებობის პირთა მიერ მოხდება მერვე პუნქტში აღნიშნულ აკრძალვათა დარღვევის ცდა, იმ პირებსა და ქონებას, რომელიც საქართველოს მთავრობისაგან მის მიერ ამა მუხლის მერვე პუნქტით თავის თავზე მიღებულ ვალდებულების ძალით იქნება დაკავებული, ამა მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირობის თანახმად მოეპყრობიან.

მუხლი 6. რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედებისა არავითარ ჯგუფსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის, ანუ მის ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრეთვე იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნათ საქართველოს მთავრობის დამხობა ექნებათ დასახული. რუსეთი ვალდებულია იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათს ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნულ ჯგუფებისა და ორგანიზაციებისა.

მუხლი 7. შესაძლო გაუგებრობის ასაცილებლად ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულობის მეხუთე მუხლის მეხუთე და მეექვსე პუნქტების განხორციელების დროს საქართველოს ნაწილებში, რომლებიც მას უნდა შეუერთდენ ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებთან, რუსეთს გარდა, საზღვრები საბოლოოდ დაიდება, საქართველოს მხრივ ამ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება უნდა გათავდეს უახლოეს დროში, მის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე თვისი სახელმწიფოებრივი მეპატრონეობის ფორმალური განხორციელების შემდეგ.

მუხლი 8. ამა ხელშეკრულების მუხლების მეხუთე და მეექვსეს სისწორით ასრულებისა და მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადასაცემად არსდება შერეული კომისია ორი მხრიდან თანაბარ წევრთა რიცხვით. კომისიის მუშაობის წესი თვით კომისიის მიერ გამომუშავდება. ამა ხელშეკრულობის მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადაცემა უნდა გათავდეს ამ ხელშეკრულების დადების დღიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი 9. 1) საქართველოს ჩამომავლობის პირთ, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე სცხოვრობენ და დაბადებიდან 18 წლისა არიან, შეუძლიათ საქართველოს ქვეშევრდომობა მოითხოვონ. აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არა ქართველი, რომელნიც ზემო-აღნიშნულ წლოვანობას მიაღწევენ, უფლება აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა მოითხოვონ.

2) დაწვრილებითი მხარე ამ მუხლის აღსრულების შესახებ დამტკიცებული იქნება განსაკუთრებულ შეთანხმებით ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

3) ორივე ხელშემკვრელ მხარის მოქალაქენი, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებულ უფლებით, ვალდებულნი იქნებიან აღასრულონ სავალდებულო ფორმალობა ერთი წლის განმავლობაში ამა მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მომხდარ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან.

მუხ-ი 10. საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრატიულ წესით დევნისაგან, ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტურ პარტიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასარგებლო მოქმედებისათვის.

შენიშვნა: საქართველო ვალდებულია დაუყონებლივ გაანთავისუფლოს საპყრობილეებიდან ყველა პირები, რომლებსაც ბრალდებათ ზემოაღნიშნული ხასიათის მოქმედებანი.

მუხლი 11. ყოველი შემკვრელი მხარე ვალდებულია იცნოს და პატივით მოეპყრას მხარეთა დროშას და ღერბს, როგორც მეგობარ სახელმწიფოთა ემბლემებს. დროშის და ღერბის ნიშნები ან ცვლილებანი, რომლებიც შესაძლებელია შეტანილი იქნეს შიგ, უნდა აცნობონ ერთმანეთს დიპლომატიური გზით.

მუხლი 12. ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ორ ხელშემკვრელ მხარეთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულების დადებამდე, რისთვისაც უახლოეს დროში უნდა იქმნეს მიღებული აუცილებელი ზომები, და რომელსაც უნდა დაედვას საფუძვლად ქვემო მოყვანილი საერთო დებულებანი:

1) ორივე ხელშემკვრელი მხარე ურთიერთ შორის სავაჭრო დამოკიდებულებას საფუძვლად უდებს უდიდეს ხელის შეწყობის პრინციპს.

2) იმ საქონელს, რომელიც მიაქვთ ერთერთ ხელშემკვრელ მხარეებიდან დანიშნულებისამებრ მეორე მხარემ არავითარი სატრანზიტო ბაჟი და გადასახადი არ უნდა დაადვას.

მუხლი 13. ხსენებულ ხელშეკრულების მე-12-ე მუხლში აღნიშნული 1 და 2 პუნქტები უნდა დაედვას საფუძვლად სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე მე-12-ე მუხლის ძალით უნდა დადებულ იქნას ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი 14. დიპლომატიური და საკონსულო დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის უნდა აღდგენილ იქნეს უახლოეს დროში. ორ ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთი შორის კონსულების დამოკიდებულების შესახებ განსაკუთრებულ შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზომა, მათი უფლებანი და ვალდებულებანი განისაზღვრებიან ამავე საგანზე ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის არსებულ კანონმდებლობით.

მუხლი 15. საჯარო უფლებრივი და კერძო უფლებრივი ხასიათის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც აღიძრება ორ ხელშემკვრელ მხარის მოქალაქეთა შორის, და აგრეთვე ზოგიერთ ცალკე საკითხების მოწესრიგება ორ სახელმწიფოს შორის, დაევალება განსაკუთრებულ შერეულ ქართულ-რუსულ კომისიას, რომელიც დაარსდება უახლოეს დროში ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

შემადგენლობა, უფლება და ვალდებულებანი ამ კომისიისა განისაზღვრება განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცდება ცალკე კომისიისათვის ორ ხელშემკვრელ მხარის შედანხმებით.

ხსენებულ კომისიებს დაევალება სხვათა შორის:

1) სავაჭრო და სხვა ეკონომიური შეთანხმების შედგენა.

2) მოწესრიგება საკითხებისა, რომელიც შეეხება ყოფილ ცენტრალურ არქივების საქმის საწარმოებელ დაწესებულებათაგან ხასამართლო და ადმინისტრატიულ დეპოზიტების და აგრეთვე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გამოყოფას.

3) გამორკვევა საკითხისა ბათომ-ბაქოს ნავთსადენის იმ ნაწილის მფლობელობის, განკარგულების და მოხმარების წესის შესახებ, რომელიც თანახმათ ხსენებულ ხელშეკრულების 4-მუხლისა იარსებებს საქართველოს ტერიტორიაზეეს საკითხი დამტკიცებული იქნება შემდეგ საბოლოოდ განსაკუთრებულ შეთანხმებით ორ ხელშემკვრელ მხარის შორის.

მუხლი 16. ხსენებული ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან, და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია.

რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავის ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში 1920 წელს 7 მაისს ორ ეკზემპლიარათ.

გ. ურატაძე. ლ. კარახანი.

რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წელს 7 მაისს დადებულ ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება.

ქვემორე ხელის მომწერნი, რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი და დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის წარიომადგენელი, დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე, რომელთაც გაითვალისწინეს, რომ რუსეთის მთავრობამ მიიღო წინასწარი თანხმობა აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკიდან ქვემო მოყვანილ მუხლების შინაარსის შესახებ შეთანხმდენ შემდეგში:

მუხლი 1. საქართველოს და აზერბეიჯანის საზღვრების, და ზაქათალის ოლქის, სადავო ნაწილების საკითხი გადაეცემა გადასაწყვეტად შერეულ კომისიას, რომელიც შედგება საქართველოს და აზერბეიჯანის თანაბარ რიცხვის წარმომადგენლებისაგან, რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის ყველა გადაწყვეტილება უნდა იქმნეს აღიარებული სავალდებულოთ როგორც საქართველოსთვის ისე აზერბეიჯანისთვის.

მუხლი 2. სანამ კომისია არ მიიღებს რაიმე დადგენილებას ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე, საქართველომ და აზერბეიჯანმა არ უნდა შეიყვანონ ზაქათალის ოლქში ახალი ჯარები გარდა იმ ჯარებისა, რომელიც უკვე იმყოფება ამ ოლქში დამატებითი შეთანხმების ხელის მოწერის დროს.

მუხლი 3. აღნიშნული დამატებითი შეთანხმება ჩაითვლება განუყოფელ ნაწილად იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულ იქმნა მოსკოვში რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წელს 7 მაისს, და ხსენებულ შეთანხმებასთან ერთად შედის ძალაში თვით ფაქტის ძალით ხელისმოწერის მომენტიდან და არ საჭიროებს განსაკუთრებულ რატიფიკაციას.

რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი საკუთარის ხელით და თავის ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში 1920 წელს 12 მაისს ორ ეკზემპლიარათ.

გ. ურატაძე.
ლ. კარახანი.

მოხსენება სომხეთში მოგზავრ ამგენის შესახებ

(დასასრული, იხილე № 4).

პირველ მაისამდე ორი კვირით ადრე გაუგზავნა სომხეთის რ. კ. პ. კომიტეტმა ცირკულიარული ცნობა სომხეთის ყველა ორგანიზაციებს, რომ პირველ მაისის დღესასწაულისათვის ემზადონ. ყველა კომუნისტური ორგანიზაციები ფეხზე დადგენ და ამ მომენტში, პირველ მაისის წინა დღეს, ცნობას ვღებულობთ, რომ ბაქო საბჭოთა ჯარებმა დაიკავესო. ელვის სისწრაფით გავრცელდა ეს ცნობა მთელ სომხეთში, რამაც კიდევ უფრო შეაკავშირა-დარაზმა მუშები და გლეხები, რომლებიც კომუნისტური ლოზუნგებით საპირველმაისო გამოსვლისათვის უკვე მზათ იყვნენ. პირველი მაისი მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ ჩატარდა. მთელი სომხეთის ქალაქებისა და სოფლების მუშებისა და გლეხების მიერ ბრწყინვალეთ გამართულმა პირველ მაისის დღესასწაულმა ყველას დაანახვა, რომ სომხეთში პირიბრუნა ისტორიამ სოციალური რევოლიუციისაკენ, რომ აქ საბჭოთა ძალაუფლება დამყარდეს.

იმ დღეს არც მთავრობა და არც მისი პარტია არ გამოჩენილა ქუჩებში არც ერევანში, არც ალექსანდროპოლში, არც ყარსში, არც სარიყამისში და არც სხვაგან მთელ სომხეთის ქალაქებსა და სოფლებში, სადაც კომუნისტური წითელი დროშის ქვეშ ინტერნაციონალის სიმღერით მრავალ ათასობით შემოკრბენ მუშები და გლეხები, რომლებიც კომუნისტური პარტიის პასუხისმგებელ ორატორების პოლიტიკურ სიტყვებს აღფრთოვანებით ეგებებოდენ. ორატორები მოუწოდებდენ მათ, რომ დაამხონ სომხეთში დაშნაკური მთავრობა და საბჭოთა ძალაუფლება დაამყარონ.

განსაკუთრებით შეწუხებული იყვნენ ამ სანახაობით დენიკინელი აფიცრები, რომლებიც თვალს ვერ უმაგრებდენ, როცა სომხეთის მუშებისა და გლეხების ხელში ლენინისა და ტროცკის სურათებს ხედავდენ; მათ კი ეგონათ, რომ თავი დაღწიეს რუსეთის რევოლიუციას. ალექსანდროპოლში დაშნაკელებმა მრავალ ათასოვან მუშათა და ჯარისკაცთა მასას სროლა აუტეხეს კიდეც, მაგრამ მასსა არ აჰყვა ამ პროვოკაციას; ხოლო მთავრობამ თავის მხრით საზიზღარ პროვოკაციას მიმართა, მან შეხანლა დეპეშა, რომელიც ვითომ აზერბეიჯანის რევკომის მიერ იყო გამოგზავნილი და რომელიც ვითომ სომხეთის მთავრობისგან მოითხოვდა, რათა მას დაუყოვნებლივ გაეწმინდა ჯარებისაგან ზანგეზური ტ ყარაბაღიც, წინაღმდეგ შემთხვევაში ის ვითომ ომს უცხადებდა სომხეთს. ამაზე მასსამ იმით უპასუხა, რომ ერთიანათ დალეწა და მიანგრ-მოანგრია დაშნაკების კლუბი ქ. ალექსანდროპოლში.

სომხეთის მთელი ჯარი ამ დღეს კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ დადგა. ერევნის რადიო-საგგური მთელი დღის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაციის განკარგულებაში იყო; შუა დღისას რ. კ. პ. სომხეთის კომიტეტმა მისალმების დეპეშა გაუგზავნა მოსკოვს და ბაქოს. ასევე ბრწყინვალეთ ჩატარდა ეს დღე სომხეთის სოფლებშიაც.

პირველ მაისიდან ქ. ალექსანდროპოლში ძალა-უფლება რ. კ. პ. ალექსანდროპოლის კომიტეტის ხელში იყო გადასული. პირველ მაისს პარტიამ მოახდინა მთელი თავისი ძალების დემონსტრაცია და აღმოჩნდა, რომ მუშებსა და ჯარს მხოლოდ ის უდგა სათავეში სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ. თავ-გზა არეულმა მთავრობამ მოინდომა შიმშილით ამოეწყვიტა მასსები და იძულებული გაეხადა ესინი, რომ იარაღით გამოსულიყვენ; იმავე დროს მან სასურსათო საწყობებიდან სანოვაგე გაიტანა და მიმალა, რათა მასსები იმ ფაქტების წინაშე დაეყენებია, ვითომ იმ ხანათ სომხეთში პური არ მოიძებნებოდა. რ. კ. პ. ალექსანდროპოლის კომიტეტმა, მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება, არ ისურვა ამ რისკისა და პასუხისმგებლობის თავისთავზე აღება და მან მიიღო სასტიკი ზომები, რათა სომხეთის სახელმწიფოს და ამერიკის ბედლებიდან პური ჩუმათ არ გაეზიდათ და თვითონ მთავრობას ის გაეტაცნა. კომიტეტმა დაუყონებლივ ცა წინადადება როგორც ამერიკის წარმომადგენლობას, ისე სომხეთის ყველა საბიდან სურსათი არ გაეტაცნათ, წინაღმდეგ შემთხვევაში ის ემუქრებოდა მათ სომხეთის მომავალი საბჭოთა მთავრობის სამხედრო-რევოლიუციონური სასამართლო ტრიბუნალს მიერ სასტიკათ დასჯილ. ამასთან პირველ მაისის დემონსტრაციით და სომხეთის მომავალი რევოლიუციით დამფრთხალი ამერიკული მისია ერევნიდან თბილისში გადასასვლელათ გაემგზავრა; მაგრამ ქ. ალექსანდროპოლის რ. კ. პ. კომიტეტმა აქ შეაჩერა და მთელი მისია მანამდე დატუსაღებულათ გამოაცხადა, ვიდრე ბათუმის გზით სომხეთში გამოგზავნილი სურსათი თავის დანიშნულ ალაგას არ მოვიდოდა. აქ მოგვყავს ის ხელწერილი, რომელიც ამერიკის მისიამ ამის გამო მისცა ალექსანდროპოლის რ. კ. პ. კომიტეტს. „ჩვენ ამერიკის მისიის წარმომადგენლები ვალდებული ვართ ალექსანდროპოლის რ. კ. პ. კომიტეტის წინაშე მასში, რომ ყველა ის სურსათიანი მატარებლები, რომლებიც დანიშნულია სომხეთისათვის და ამ ჟამათ ბათუმიდან ალექსანდროპოლში წამოსულნი გზაში იმყოფებიან, დაუყონებლივ გამოიგზავნებიან სომხეთში მიუხედავათ იმისა, აქ ძალაში დარჩება ძველი იმპერიალისტური მთავრობა თუ დაარსდება ახალი, საბჭოების სოციალისტური“. ამაზე ხელი უწერიათ მისიის წარმომადგენლებს (ამ დოკუმენტის დედანი ინახება ალექსანდროპოლის რ. კ. პ. კომიტეტში).

3 მაისს ალექსანდროპოლის ვოგზალი და ციხე-სიმაგრე ფაქტიურათ ბალშევიკების ხელში იყო. 8 მაისს შედგა სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი, რომელშიაც შევიდენ ადგილობრივი მუშების და ჯარის კაცების კომიტეტის და სომხეთის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, რომელთა ხელში ამ დღიდან გადავიდა მთელი ძალა უფლება ალექსანდროპოლსა და მის რაიონებში. 10 **მაისს საღამოს ხუთ საათზე** სამხედრო-რევოლიუციური კომიტეტის ბრძანებით **სომხეთში გამოცხადდა საბ-ჭოთა მართვა-გამგეობა,** ხოლო სომხეთის კონტრ-რევოლიუციური მთავრობა მოღალატეთ. მთელ მაზრაში მილიციას იარაღი აეყარა. დაშნაკელი მაუზერისტებმა პირველ მაისიდანვე იგრძნეს მათი მთავრობის დამხობის მოახლოვება და ამიტომ ისინი დროზე მიიმალენ მიყრუებულ სოფლებში, სადაც მათ შეძლეს ოსმალ-სომეხთა ნაძირალა კონტრ-რევოლიუ ციონური ბრბოების თავმოყრა. ქალაქში სამაგალითო წესრიგი იყო დამყარებული; დაშნაკების ბატონობის და მტარვალობის აღსასრული ყველას ახარებდა. ალექსანდროპოლში მყოფი ლტოლვილნი, ოსმალელი მუსულმანები სიხარულისგან ცრემლ მორეულნი მთელი მაზრის მუშებსა და გლეხებს გამარჯვებას ულოცავდენ და მათ აღუთქვამდენ, რომ ყოველ ღონეს იხმარებენ, რათა მათ სურსათით დაეხმარნენ. არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ ყველა კეთილ გონიერი მოქალაქენი მოხარული იყვენ მომხდარი გადატრიალებისა, ვინაიდან ყველას თავი მოაბეზრა დაშნაკების სისხლინნმა რეჟიმმა. საყურადღებოა, რომ გადატრიალების შემდეგ პურის ფასი 150 მან. 60 მანეთამდე დაიწია.

ამ დროს მთავრობის ერთგული დარჩა მხოლოდ ქალაქში მიმამულნი კონტრ-რევოლიციური აფიცრობა, მაუზერისტები და სომხეთის რევოლიუციის ყველა მთავარი სულის მხდელნი: ოსმალეთის ქვეშევრდომ სომეხთა მრავალ ათასოვანი ურდო, სპეკულიანტები, რომლებიც გაბატონებული იყვენ მთავრობის მიერ მუსულმანებისგან გაწმენდილ ადგილებში, სადაც ისინი, სპეკულიანტები, მზათ იყვენ გამოსასვლელათ ბალშევიკების წინააღმდეგ, რადგან ეს უკანასკნელნი იცავენ მშრომელთა მასსას, თათრის იქნება იგი თუ სომხის სულერთია.

როგორც კი ალექსანდროპოლში გამოცხადაა სომხეთის საბჭოთა მართვა-გამგეობა, ამავე დროს ყარსშიაც და სარაყამიშშიაც გამოაცხადეს საბჭოთა მთავრობა. პირველ ხანებში სამხედრო-რევოლიუციური კომიტეტი იმდენათ ძლიერი იყო, რომ მასთან მთავრობამ პირდაპირი მოლაპარაკების გამართვა მოინდომა, გადაწყვიტა რა ამ გზით გადაებირებია თავის მხარეზე ჯავშნოსანი მატარებელი და ჯარი; მაგრამ ეს მოლაპარაკება მისთვის სრულიად უშედეგოთ დასრულდა, ვინაიდან ის საბჭედრო-რევოლიუციურმა კომიტეტმა თავიდან მოღალატეთ და კონტრ-რევოლიუციურათ გამოაცხადა.

სომხეთის სამხედრო-რევოლიუციურ კომიტეტს მოქმედების გეგმა წინდაწინვე შემუშავებული ჰქონდა. ამ გეგმით ის უნდა შეერთებოდა ყაზახის რაიონის გზით აქტაფაში მდგომ წითელ რაზმებს; მაგრამ ზოგ მიზეზების გამო ეს გეგმა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. ამასთან სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტს, დღიდან სომხეთში საბჭოთა მართვა-გამგეობის გამოცხადებისა, მთელი ყურადღება იქეთკენ ჰქონდა, რომ გამკლავებოდა სომხეთის ძველი მთავრობის მიერ გამოგზავნილ სამხედრო ძალებს, რომელთა რიცხვი 1500 ხიშტს უდრიდა; ეს იმას გარდა, რასაც ოსმალ-სომეხთა სპეკულიანტების მრავალათასოვანი შეიარაღებული ურდოები წარმოადგენდა. მთელ ამ შავ ლაშქარს წინამძღოლობდა ოსმალეთ-სომხეთის ხიბაპეტი, ამ ხანათ თეთრ მერანზე მჯდომი გენერალი, სეპუს ჯალათი. მეტათ საყურადღებო და დამახასიათებელია ის ამბავი, რომ როცა ჯავშნიანი მატარებელი შეებრძოლა ამ შავ ლაშქარს, რომელსაც წინ უძღოდენ ჯარისკაცები, ხოლო უკანა რაზმს მაუზერისტები შეადგენდენ, ჯარისკაცებმა სროლა შეწყვიტეს. როცა ბრძოლის ველზე დარჩენილ ლაშქარს მიუახლოვდენ წითლები, ისინი გაოცდენ, რადგან მათ წინაშე იდგენ სომხები და არა თათრები. აღმოჩნდა, რომ ისინი მთავრობას მოეტყუებია: ვითომ მათ ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველათ გზავნიდნენ. იმ სომეხთა ჯარიდან მხოლოდ 10 კაცი გადმოვიდა წითლების მხარეზე, დანარჩენები მაუზერისტების თოფქვეშ გაიყვანეს თავიანთ პოზიციებზე. 13 მაისს დილით უკვე გამოირკვა, რომ მთელი მაზრა შიშით არის შეპყრობილი მაუზერისტებისაგან, რომელთაც უკვე მოახერხეს თავის გარშემო ოსმალ-სომეხთა ლტოლვილთაგან შემდგარი ბრბოები შემოეკრიბათ. სადგურ კარაკლისამდე რკინის გზის ლიანდაგი თვითონ იმ „მაუზერისტების“ რაზმმა აყარა, რომელიც ჯავჯურის სადგურის მხრიდან მოიწევდა; ხოლო ძველი მთავრობის ჯარი სავალზე იდგენ ქალაქიდან. სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის დამოუკიდებლათ მეწმენეკების და ესერების პარტიებ მოლაპარაკება გამართეს და დელეგაციი გუგზავნეს მთავრობის დამსჯელი რაზ უფროსს მოქალაქეობა სახელით და თხო რევოლიუციონური ალექსანდროპოლის წ ნააღმდეგ სამხედრო მოქმედება შეეჩერებ ამასთან ზემოხსენებულმა დელეგაციამ მხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტს ა თქვა, რომ მოლაპარაკებაში ის სხვა საკ ხებს არ შეეხებოდა. აი სიტყვა-სიტყვ ის პასუხი, რომელიც დამსჯელი რაზ უფროსმა მისცა: „მთავრობის სახელით მ ვითხოვ, რომ ალექსანდროპოლი გადაეც ხელთ მთავრობის ჯარებს. ვაცხადებ, რ სომხეთის ტერიტორიაზე არ შეიძლ იარსებოს სხვაგვარმა მთავრობამ, გარ ძველი არსებული მთავრობისა. ჩვენ დ კარგეთ საოსმალეთო სომხეთში ვანი, ბ ში, არზრუმი და ჩვენთვის კიდევ ერთი ლაქის ალექსანდროპოლის დაკარგვაც ა ფერს წარმოადგენს. ამიტომ აქ ქვას-ქვა დაც არ დავტოვებ, ყველაფერს გავაოხრ ასე რომ კვალიც არ დარჩება ამ ქალა ის არსებობისა. გაეცით ამ მოძრაობის მე ურები: კაპიტანი მუსაელიანი წითელი მიის სარდალი, ნურიდჟანიანი, მელკუნ ნი და ევანგულოვი, რომლებიც საბჭ არმიის სამხედრო-რევოლიუციონური კ ტეტის წევრები არიანო“.

13 მაისს, ღამით, სამხედრო-რევოლ ციონურმა კომიტეტმა თავის სხდომაზე ი მენტის საკითხი წამოაყენა და ის „თავრ ბის ჯარების წინ მსვლელობას და ა ქსანდროპოლის რაიონში კონტრ-რევო უციონური მოძრაობის გამარჯვებას დ კავშირა; გათვალისწინებულ იქნა აგრე ჯავჯურის სადგურის მხრიდან „მაუზერისტ რაზმის წინ სვლა და ხმის უმეტესობ გადაწყვიტა, რომ ქალაქი უბრძოლველ გადასცეს მთავრობის ჯარს.

ეს დადგენილება დამსჯელი რაზმ უფროსს ზემოთ ნახსენებმა დელეგაციამ დასცა და მანვე შეატყობინა ჯარების ვოლიუციონურ ორგანიზაციებს, რომ დილ იარაღი აიყარონ. მაგრამ მიუხედავათ ა სა დილას მთავრობის ჯარმა მაინც ბ გრძო ბრძოლა და ასტეხა სროლა. ც ხნის შეტაკების შემდეგ საბჭოთა ჯარ ქალაქი დატოვეს და სომხეთის სხვადა მხარეს გაიფანტენ. მთავრობის ჯარი შ და ქალაქში და ამნაირათ 14 მაისს დილ სომხეთის საბჭოთა მთავრობა დაეცა.

ამიერ-კავკასიას არასოდეს არ განუ ესოდენი სუსხი კონტრ-რ როგორც ამ დროს გამ კურმა მთავრობამ. ის დაუბ ეპყრა ყველას, ვინც კი რევოლიუცი მონაწილეობა მიიღო; დაატუსაღა ყველ ვისაც კი რაიმე დამოკიდებულება ჰქო საბჭოთა მთავრობასთან. ერთი დღის დაშნაკელებმა მოკლეს გენერალი ხარ როვი, ხოლო 14 მაისს დახვრიტეს მხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის მ დანიშნული სადგურის კომენდანტი, კენდაროვი. დამახასიათებელია ის, დაშნაკელთა ჯარმა არ დაინდო თვით ნაკურ-ცენტრალური კომიტეტის წევ იბირიკი **ჩულახიანი**, რომელიც კენდა გამოესარჩლა. ალექსანდროპოლის აავსეს მუშებით, გლეხებით, კომუნისტ პარტიის წევრებით და სამხედრო-რევ უციონური კომიტეტის წევრებით. ტყვეებულ ამხანაგებს სცემეს. ალ დროპოლთან ერთათ ყარსიც დაეცა, კომუნისტური პარტიის 15-მდე წევრ ხვრიტეს. დაანგრიეს და დაშალეს მ მან და რუსთა ნაციონალური საბ **მ... ... იქნა სულ 300-მდე კაც**

სა... ...ამიში გმირულათ უმკლავდ მტერს 19 მაისამდე. რის შემდეგ რობის ჯარმა საბჭოთა მთავრობა ... სარაყამიშშიაც. ალექსანდრროპოლის ... ყების დროს აჯანყება მოხდა ახალ ზეთშიაც, სადაც ის ისეთივე სისას ... ჩაქვრეს. დღემდე გაუძლეს ამ შ ... ყაზახის რაიონში აჯანყებულებმა, რ ... თაც რუსეთის საბჭოთა წითელი ... ნაწილებთან დაკავშირება მოასწრეს ... ფასთან. სომხეთში ბრძოლა ახლაც ... დება და ამავე დროს ჯალათების მ ... ბის წარმომადგენლები არხეინათ ... რევოლიუციის „გულში, მოსკოვში, ... ცდილობენ, რომ საბჭოთა რუსეთმ ... ხეთის დამოუკიდებლობა და მისი ... კური მთავრობა სცნოს. მაგრამ ა ... გვიან, სულ ერთია, სომხეთში უნ ... ყარდეს საბჭოთა მთავრობა და დან ... ბა კიდეც.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

დიდი ვანქის ქ. № 3. სტამბა ყოფ. „ეკონომია“